

განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „როდ სეიფთი სისტემს“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2021 წლის 9 მაის.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, გიორგი შატბერაშვილის ქუჩა №31ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 405460166

-საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

-საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების წარმოება-მონტაჟი..

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

- ორგანიზაციას ყავს ორი დამფუძნებელი და ორი დირექტორი .

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

-ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა საბუღალტრო პროგრამა „**ORIS Accounting**“-ის გამოყენებით.

-საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის” შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას.ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
 - ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
 - ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.
- საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მოთხოვნების აღრიცხვა

- ასეთი ტიპის აქტივები წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას.

ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები წარმოიშვება საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ, როგორც რეზიდენტი პირების, ასევე უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მომწოდებლებს.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწარმოს საკუთარი კაპიტალი 2024 წელს შეადგენს 1 629409 (ერთი მილიონ ექვსას ოცდა ცხრა ათას ოთხასცხრა) ლარს;
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

შემოსავლების აღრიცხვა

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისათვის;
- სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

-მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

მოგების გადასახადი:

- მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

შპს „როუდ სეიფთი სისტემი“-ს დირექტორი:

ლევან ბოლქვაძე

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	111224	197100	97162
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	535555	317204	182866
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	208019	299921	
მარაგები	581160	74897	19405
სხვა	581160	74897	19405
ძირითადი საშუალებები	2132632	323938	39929
სულ აქტივები	3568590	1213060	339362
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			81452
სავაჭრო ვალდებულებები	484102	164264	
ანარიცხები	13651	4762	1974
საგადასახადო ვალდებულებები		24461	5029
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	68400		11700
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1049013		
სხვა ვალდებულებები	327014	30208	85157
სულ ვალდებულებები	1942180	223695	185312
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	175140	30203	35311
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1451270	959162	118739
სულ საკუთარი კაპიტალი	1626410	989365	154050
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3568590	1213060	339362
სულ მოკლევადიანი აქტივები	1435957	591501	299433

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	10897867	4685712
საქონლის გაყიდვიდან	10870595	4678214
სხვა	27272	7498
საერთო მოგება	10897867	4685712
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1310228	-657516
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-145997	-40959
საპროცენტო ხარჯი	-42286	-11670
იჯარის ხარჯი	-42627	-3669
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-8719684	-3136583
სულ საოპერაციო ხარჯები	-10260822	-3850397
საოპერაციო მოგება	637045	835315
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	637045	835315
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	637045	835315
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	637045	835315
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	989365	154050
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1626410	989365